ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4649527

ნომერი: AR1703378

თარიღი : 26.08.2019

გაცემის თარიღი : 29.08.2019

გაცნობის თარიღი : 29.08.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ჯავახეთის II შესახვევი, N 12ა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლაშა არჯევანიძე პ/ნ 25001010250
- ლაგოდეხის რაიონი, სოფ ნაწისქვილარი

ორგანიზაცია:
- შპს ასტერია კოდი: 433103250

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუქციური შენობა(კომერციული და საცხოვრებელი)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ბადრი სექანია

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "ასტერია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 433103250

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლაშა არჯევანიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 25001010250

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული 2019 წლის 20 აგვისტოს AR1702103 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად
გაცნობებთ შემდეგს: ვინაიდან წარმოდგენილი ფოტომასალით დგინდება, რომ საპროექტო ობიექტის მშენებლობა ნაწარმოებია შეთანხმებული პროექტის დარღვევით (მოწყობილია კონდიციონერების აგრეგატები). აქედან გამომდინარე საკითხი უნდა
დააყენოთ 2018 წლის 22 მაისის №3971820 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის კორექტირებაზე. გაცნობებთ, რომ შეთანხმებული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების გამო ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57–ე დადგენილების 63–ე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად ,,თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტაციაში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორ განო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე, დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ".

ამისათვის საჭიროა ახალი განცახედბა საჭირო დოკუმენტაციის თანდართვით ატვირთოთ, სამსახურის ვებ გვერდზე, http://tas.ge/–ზე შესაბამის ნომენკლატურით ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ამ ეტაპზე სამსახური თქვენს მოთხოვნას ვერ
დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.